ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი

შპს "ეპამ სისტემს (ჯორჯია)"

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

სარჩევი

კომპილაციის რეპორტი 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 6

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 8

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია 8

2. შედგენის საფუძველი 8

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე 8

2.2. მომზადების საფუძველი 8

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა 8

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები 9

3.1. უცხოური ვალუტა 9

3.2. ძირითადი საშუალებები 9

3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება 10

3.4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 10

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10

3.6. სესხები 11

3.7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 11

3.8. კაპიტალი 11

3.9. ანარიცხები 11

3.10. შემოსავალი 11

3.11. გადასახადები 12

4. ძირითადი საშუალებები 13

5. გადახდილი ავანსები 14

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 14

7. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე 14

8. მიღებული სესხები 15

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 15

10. გადასახდელი ხელფასები 16

11. შემოსავალი რეალიზაციიდან 16

12. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება 17

13. შემდგომი მოვლენები 17

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 17

Grant Thornton

კომპილაციის რეპორტი

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს „ეპამ სისტემს (ჯორჯიას)-ს" ხელმძღვანელობას

ჩვენ შევასრულეთ შპს „ეპამ სისტემს (ჯორჯიას)-ს" თანმხლები ფინანსური ანგარიშგება („კომპანია") კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ინახება ჩვენ მიერ საბუღალტრო მომსახურების # ACC-923 ხელშეკრულების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას შემდეგ დასრულებული წლისთვის, და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების "შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადებასა და წარდგენაში. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

ვინაიდან კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს)-ის შესაბამისად.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

2022 წლის 22 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	4	2,853,062	-
გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	5	89,827	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,942,889**	**-**
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები	5	206,443	9,740
მარაგები		174,807	-
გადახდილი ავანსები ბიუჯეტში		47,902	10,597
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	6,268,896	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	5,879,269	1,179,107
სულ მიმდინარე აქტივები		**12,577,317**	**1,199,444**
სულ აქტივები		**15,520,206**	**1,199,444**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		116	116
წინა პერიოდებში დაგროვილი ზარალი		(2,797,428)	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ (ზარალი)		3,543,651	(2,797,428)
სულ კაპიტალი		**746,339**	**(2,797,312)**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხი	8	9,139,980	3,935,307
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	534,412	61,449
გადასახდელი ხელფასები	10	5,099,475	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**14,773,867**	**3,996,756**
მთლიანი ვალდებულებები		**14,773,867**	**3,996,756**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**15,520,206**	**1,199,444**

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	წელი 2021	წელი 2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	35,004,917	-
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	12	(18,432,996)	-
მთლიანი მოგება		**16,571,921**	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
ხელფასის ხარჯები		(10,246,518)	(2,730,456)
გამოუყენებელი შვებულებების რეზერვი		(1,128,862)	-
იჯარისა და კომუნალურების ხარჯები		(530,275)	(9,273)
მოწყობილობები 1000 დოლარის ქვემოთ		(309,463)	(40,582)
დაზღვევის ხარჯი		(302,625)	-
საკონსულტაციო ხარჯები		(161,822)	(7,198)
რელოკაციის ხარჯები		(81,936)	-
საბანკო მომსახურების ხარჯები		(58,110)	(9,617)
ცვეთა და ამორტიზაცია		(104,698)	-
ოფისის ხარჯები		(41,497)	-
საგადასახადო ხარჯები		(6,578)	(102)
მცირე ღირებულების მარაგები		-	(764)
სხვა ხარჯები		(128,826)	(712)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(13,101,210)**	**(2,798,704)**
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**3,470,711**	**(2,798,704)**
ფინანსური ხარჯები		(96,310)	(3,386)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		31,248	7,326
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(429)	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		138,432	(2,664)
მოგება გადასახადამდე		**3,543,651**	**(2,797,428)**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება პერიოდისთვის		**3,543,651**	**(2,797,428)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		**3,543,651**	**(2,797,428)**

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ
2020 წლის 1 იანვარი	-	-	-
წლის ზარალი	-	(2,797,428)	(2,797,312)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-
სულ გაერთიანებული ზარალი	-	*(2,797,428)*	*(2,797,312)*
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	116	-	116
2020 წლის 31 დეკემბერი	116	(2,797,428)	(2,797,312)
წლის მოგება	-	3,543,651	3,543,651
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-
სულ გაერთიანებული მოგება	-	*3,543,651*	*3,543,651*
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	-	-	-
დივიდენდები	-	-	-
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	**116**	**746,223**	**746,339**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი	წელი 2021	წელი 2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	3,543,651	(2,797,428)
კორექტირება შემდეგ ნაწილებში:		
ცვეთა და ამორტიზაცია	500,336	-
ფინანსური ხარჯები	96,310	3,386
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(138,432)	2,664
	4,001,865	**(2,791,378)**
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(6,453,260)	-
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(196,703)	(9,740)
ცვლილებები მარაგებში	(174,807)	-
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	539,430	59,263
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	5,099,438	-
ცვლილებები გადახდილ ავანსებში ბიუჯეტთან	(37,305)	(10,806)
ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**2,778,658**	**(2,752,661)**
გადახდილი პროცენტები	(96,421)	-
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**2,682,237**	**-**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,353,398)	-
გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	(89,827)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(3,443,225)**	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი საწესდებო კაპიტალის გამოშვებიდან	-	116
შემოსავლები სესხებიდან	7,315,065	3,973,800
სესხების დაფარვა	(1,616,905)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**5,698,160**	**3,973,916**
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა	**4,937,172**	**1,221,255**
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	**(237,010)**	**(42,148)**
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	1,179,107	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	**5,879,269**	**1,179,107**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ეპამ სისტემს (ჯორჯია) (შემდგომში „კომპანია") დარეგისტრირდა 2020 წლის ოქტომბერში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიამ 2020 წლის 19 ნოემბერს მიიღო „საერთაშორისო კომპანიის სტატუსი" საქართველოს მთავრობისგან.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი II , კვარტალი I , კორპუსი 1ა,ბ.N24.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ეპამ სისტემს ინკ., 3604150 /აშშ/, 18.12.2002, ეს კომპანია დაარსებული და რეგისტრირებულია აშშ-ში.

2021 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 319 ადამიანი.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (მსს ფასს) ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების მიწოდებაში, გასაქირავებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში და მათი შეძენის ღირებულება 1000 აშშ დოლარზე მეტია (ექვივალენტი ლარში), აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და სხვა დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვნებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან ან გაყიდვიდან, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და საოფისე ტექნიკის გამოყენების ვადა 7 წელია, გარდა ნოუთბუქებისა, რისთვისაც არის 3 წელი. კომპანიას ასევე აქვს იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა, რომელიც ამორტიზებულია მოკლევადიან საიჯარო ხელშეკრულებაზე მეტი ვადით და განსაზღვრულია 5 წლით.

3.3. ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

3.4. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულ მსვლელობაში, დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით. მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების შეძენისა და მათ არსებულ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მიყვანისთვის.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს. როდესაც დებიტორული დავალიანება სცდება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი აღიარებულია დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.6. სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული ემისიის ხარჯების გამოკლებით. სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია მფლობელებისგან. ამ შემთხვევაში, სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი სხვაობით ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მთელი სასესხო პერიოდის განმავლობაში არსებული ეფექტური პროცენტის საფუძველზე. სესხებთან დაკავშირებით გაწეული პროცენტები და სხვა ხარჯები ირიცხება როგორც ფინანსური ხარჯების ნაწილი, გარდა სესხის აღების დანახარჯებისა, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება კვალიფიცირებული აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელიც კაპიტალიზდება ამ აქტივის ნაწილად.

3.7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ტრანზაქციის ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

3.8. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერების შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავენ კომპანიის აქციონერები. კომპანიის დეკლარირებულ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ყველა ტრანზაქცია მფლობელებთან ცალკე აღირიცხება კაპიტალში.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას/(ზარალს).

3.9. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმოს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება და მოსალოდნელია, რომ მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება, რომლის დაფარვის მიზნით სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გადინება კომპანიიდან. თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიკურ რისკებს.

3.10. შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს,

ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამული პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანია ძირითადად მომსახურებას უწევს არარეზიდენტებს, ძირითადად EPAM-ის გლობალური ქსელის წარმომადგენლებს სხვა ქვეყნებში.
ასეთი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც სამუშაოს შესრულება მომსახურების სპეციფიკაციების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებული და დასრულებულია. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) აქტს ხელს მოაწერს ორივე მხარე, იმ პირობით, რომ შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

საპროცენტო და დივიდენდის შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. დივიდენდიდან შემოსავალი აღიარებულია გადახდის მიღების უფლების წარმოშობის მომენტისათვის.

3.11. გადასახადები

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი “) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს

განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმოშობილი 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

კომპანიას საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რადგან ის ძირითად შემოსავალს იღებს სტატუსის ფარგლებში ნებადართული საქმიანობიდან, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, ვებ-გვერდების წარმოება და მიწოდება. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი ეპამ სისტემს (ჯორჯია)-ს აძლევს შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათებს:

- საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება;
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება;
- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი 5 პროცენტია;
- საერთაშორისო კომპანია თავისუფლდება ქონების (მიწის გარდა) გადასახადისგან, თუ ეს ქონება განკუთვნილია ან გამოიყენება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განსახორციელებლად.

4. ძირითადი საშუალებები

ლარი	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2021	-	-	-
დამატებითი შესყიდვები 31.12.2021	3,328,502	24,896	3,353,398
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	**3,328,502**	**24,896**	**3,353,398**
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	-	-	-
ცვეთა 31.12.2021	(500,336)	-	(500,336)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	**(500,336)**	**-**	**(500,336)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2021	**-**	**-**	**-**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	**2,828,166**	**24,896**	**2,853,062**

2020 წლის განმავლობაში კომპანია არ ფლობდა ძირითად საშუალებებს.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას არ დაერიცხა ცვეთა, რამდენადაც კომპანიამ 2021 წლის დეკემბრის ბოლოს ჩაატარა იჯარით აღებული ოფისის რემონტი.

5. გადახდილი ავანსები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ოფისის რემონტი	89,827	-
ოფისის იჯარა	204,375	-
კომუნალური	58	-
დასუფთავების საშუალებები	2,010	-
ბრენდირებული მასალები	-	9,740
სულ ავანსები	**296,270**	**9,740**

კომპანიამ შეიძინა გარკვეული სერვისები/პროდუქცია ქართველი და უცხოელი მომწოდებლებისგან. ორივე საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდებს მხოლოდ ქართველი მომწოდებლებისთვის.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოთხოვნები უცხოური კომპანიებისგან	6,216,768	-
სხვა მოთხოვნები	52,128	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**6,268,896**	**-**

ვინაიდან ეპამ სისტემს (ჯორჯია)-ს აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, ის ძირითად შემოსავალს იღებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა დებიტორული დავალიანება. რაც შეეხება სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ეპამ სისტემს (ჯორჯია)-მ თანამშრომლებს გადაუხადა გარკვეული თანხა მისი აქციონერი კომპანიის EPAM systems inc-ის სახელით, ხოლო ამ კომპანიისგან მისაღებია 52,128 ლარი.

იმის გამო, რომ ეპამ სისტემს (ჯორჯია) ძირითადად ემსახურება არარეზიდენტებს, ტრანზაქციების უმეტესობა აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონკრეტულად აშშ დოლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოთხოვნები შეადგენს 2,028, 450 აშშ დოლარს.

7. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	116,931	10,782
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5,762,338	1,168,325
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	**5,879,269**	**1,179,107**

ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში ბანკში წარმოდგენილია მხოლოდ აშშ დოლარში და შეადგენს 1,860,020 აშშ დოლარს.

8. მიღებული სესხები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიღებული	9,139,980	3,935,307
მთლიანი მიღებული სესხები	**9,139,980**	**3,935,307**

სესხი	გამსესხებელი	თანხა აშშ დოლარში	ძირი თანხა ეროვნულ ვალუტაში (ლარი)	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი
სესხი 1	ჯგუფში შემავალი კომპანია	1,200,000	3,973,800	07-დეკ-2020	07-იან-2022	1.25738%
სესხი 2	ჯგუფში შემავალი კომპანია	950,000	3,141,840	03-თებ-2021	12-თებ-2022	1.18425%
სესხი 3	ჯგუფში შემავალი კომპანია	1,000,000	3,161,900	02-ივლ-2021	02-იან-2022	1.163%

2020 წელს კომპანიას მხოლოდ ერთი სესხი ჰქონდა მიღებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიისგან.

ასევე, ეპამ სისტემს (ჯორჯია)-მ მიიღო ორი დამატებითი სესხი ურთიერთდაკავშირებული კომპანიისგან 2021 წლის განმავლობაში. „სესხი 1"-ის საწყისი თანხა იყო 1,200,000 აშშ დოლარი და ამ თანხიდან კომპანიამ დაფარა 200,000 აშშ დოლარი პირველი გადახდის საფუძველზე, ხოლო დარჩენილი ძირი 2021 წლის ბოლოს 1,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ სამივე სესხთან დაკავშირებული პროცენტი გადაიხადა და მთლიანი გადახდილი პროცენტი შეადგენს 30,492.86 აშშ დოლარს.

სამივე სესხი აღიარებულია, როგორც მოკლევადიანი სესხი.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	523,818	61,413
სხვა ვალდებულებები	10,594	36
მთლიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**534,412**	**61,449**

სავაჭრო ვალდებულებები - 523,818 ლარი და 61,413 ლარი მოიცავს ვალდებულებას ქართული და ზოგიერთი უცხოური კომპანიებისგან შეძენილი სერვისებიდან/პროდუქტებიდან შესაბამისი პერიოდის ბოლოს.

სხვა გადასახდელები - 10,594 ლარი მოიცავს გადასახდელ ვალდებულებას თანამშრომლების მიმართ, ხოლო 36 ლარი არის გადასახდელი გადასახადების ვალდებულება.

10. გადასახდელი ხელფასები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადასახდელი წლიური ბონუსები	3,901,165	-
თანამშრომლებთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,043,114	-
სხვა სახელფასო ვალდებულებები	155,196	-
მთლიანი გადასახდელი ხელფასები	**5,099,475**	**-**

თანამშრომლებთან დაკავშირებული ვალდებულებები - 2021 წელს კომპანიამ გამოყო გამოუყენებელი შვებულების რეზერვები თანამშრომლების მთლიანი ყოველთვიური ხელფასის საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დასაქმებულს შეუძლია დაისვენოს წელიწადში 24 დღემდე, თვეში მაქსიმუმ ორი დღე. გამოყენებული შვებულების დღეების გამოქვითვისა და დათხოვნილი თანამშრომლებისთვის გამოუყენებელი შვებულების დღეების კომპენსაციის შემდეგ, პერიოდის ბოლოს გადასახდელ ნაშთად დარჩა 1,043,114 ლარი.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

2021 ფისკალურ წელს ეპამ სისტემს (ჯორჯია)-ს უცხოური კომპანიებისგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 35,004,917 ლარი. კომპანიას 2020 წელს საოპერაციო შემოსავალი არ გამოუმუშავებია.

ეპამ სისტემს (ჯორჯია), ძირითადად, მომსახურებას უწევს EPAM გლობალური ქსელის წევრებს მთელ მსოფლიოში. შედეგად, შემოსავლების ნაკადები წარმოდგენილია ქვეყნების მიხედვით.

ლარი	წელი 2021	წელი 2020
EPAM Systems USA	22,664,811	-
EPAM Systems United Kingdom	4,047,256	-
EPAM Consulting Netherlands	2,231,435	-
EPAM systems Germany	1,478,469	-
EPAM Systems Hong Kong	1,185,642	-
EPAM Systems Sweden	781,107	-
EPAM Systems United Arab Emirates	718,648	-
EPAM Systems Russia	567,563	-
EPAM Systems Switzerland	430,462	-
EPAM Systems Ireland	330,330	-
EPAM Systems France	241,050	-
EPAM Systems Canada	148,817	-
EPAM Systems Singapore	109,879	-
EPAM Systems Belgium	47,703	-
EPAM Systems Italy	21,745	-
მთლიანი შემოსავალი	**35,004,917**	**-**

12. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

ლარი	წელი 2021	წელი 2020
პირდაპირი ხელფასი	17,714,537	-
საპენსიო შენატანი	322,821	-
ცვეთა და ამორტიზაცია	395,638	-
მთლიანი რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	**18,432,996**	**-**

13. შემდგომი მოვლენები

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე საომარი მოვლენების გამო, EPAM-ის ფილიალებმა რუსეთსა და ბელორუსში 2022 წლის 24 თებერვალს შეწყვიტეს მუშაობა. ამ მოვლენის გათვალისწინებით, საჭირო გახდა თანამშრომლების გადანაწილება სხვადასხვა ქვეყანის ოფისებში, მათ შორის საქართველოშიც. შედეგად, დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2022 წლის მარტიდან და მაისის ბოლოს 2,858-ს მიაღწია. ზემოაღნიშნული სწრაფი ზრდის გამო, კომპანიის ფინანსური საჭიროებები გაიზარდა. შესაბამისად, 2022 წელს ეპამ სისტემ (ჯორჯია)-მ დამატებით მიიღო სესხი EPAM კვიპროსისგან 5 მილიონი დოლარის ოდენობით.

თანამშრომელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ძირითადი საშუალებების შესყიდვების (ლეპტოპების) რაოდენობა. საოფისე ტექნიკის საბალანსო ღირებულება 2022 წლის მაისის ბოლოს 7,508,381.7 ლარს შეადგენს, მაშინ როცა 2021 წლის ბოლოს შეადგენდა 3,328,502 ლარს. თავის მხრივ, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა ხელფასისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა 2022 წელს 2021 წლის მაჩვენებლებთან შედარებით.

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა ორი სახის ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან.

მომსახურების მიწოდება

ეპამ სისტემს (ჯორჯია) საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ მომსახურებას აწვდის EPAM-ის ფილიალებს სხვადასხვა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ძირითადი შემოსავლები მიიღება დაკავშირებული მხარეებისგან. 2021 წელს მთლიანმა შემოსავალმა 35,004,917 ლარი შეადგინა. 2021 წლის ბოლოს ზემოთ აღნიშნული გამომუშავებული შემოსავლიდან მისაღები ჯამური თანხა შეადგენს 6,216,768 ლარს.
ყველაზე მეტი შემოსავალი სათაო ოფისიდან მიიღება, რაც 22,664,811 ლარს შეადგენს.
დეტალები შეგიძლიათ იხილოთ შენიშვნა 11-ში.

მიღებული სესხები

ეპამ სისტემს (ჯორჯია)-მ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან, კონკრეტულად EPAM Kypros-ისგან, საოპერაციო მიზნებისთვის 2020 და 2021 წლებში. სესხთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ დეტალები შეგიძლიათ იხილოთ მე-8 შენიშვნაში.